საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7499/01
19/07/2021

7499-01-2-202107191718

შპს „მარტ-სტოუნს“
მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დ. რონდელის ქუჩა, №17

თქვენი 2021 წლის 9 ივნისის N10048 წერილით წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მარტვილის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის (კირქვის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას, გაცნობებთ, რომ შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ მიმდინარე წლის 11 ივლისს განხორციელდა საპროექტო ტერიტორიის ადგილზე დათვალიერება. სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოო მიზნით წყალაღებისა და საწარმოს ტერიტორიის დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი წყალაღებასთან დაკავშირებული მონაცემები არ შეესაბამება ადგილზე არსებულ მდგომარეობას. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს საკითხის დეტალური შესწავლა და გატარდება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ხვდება მდ. ვახას წყალდაცვით ზოლში, გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ,,წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N440 და „საქართველოს მცირე მდინარეების წყალდაცვითი ზოლების (ზონების) შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N445 დადგენილებებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და კანონმდებლობით დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044